აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

(01.09.2018-დან - 01.09.2019-მდე)

2019 წელი

საანგარიშო პერიოდში საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი თავის საქმიანობას წარმართავდა საქართველოს კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის, კომიტეტის დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში.

საანგარიშო პერიოდში საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის მუშაობა მიმდინარეობდა კანონშემოქმედებითი და კომიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა საქმიანობის მიმართულებით. თითოეული საკითხის განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა კომიტეტის სხდომებზე. კომიტეტის დასკვნები და სხვა სახის გადაწყვეტილებების პროექტები ეგზავნებოდა უმაღლესი საბჭოს შესაბამის სუბიექტებს.

კომიტეტის საკანონმდებლო საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა მთლიანობაში იმუშავა 9 საკანონმდებლო აქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 3 დადგენილების პროექტზე.

კომიტეტმა, როგორც წამყვანმა იმუშავა 4 საკანონმდებლო აქტზე, აქედან 1 იყო საკანონმდებლო პაკეტი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ახალი რეგლამენტის პროექტი. გარდა ამისა, წამყვანი კომიტეტის სტატუსით მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1 დადგენილების პროექტზე.

საანგარიშო პერიოდში უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული 15 სამართლებრივი აქტიდან 8 ინიცირებულია კომიტეტის/კომიტეტის თავმჯდომარის მიერ.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის მიერ ჩატარებულია 14 სხდომა, მათ შორის 1 ერთობლივი, რომელზეც განხილულია 27 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის მიერ მომზადებულია 16 დასკვნა.

კომიტეტი, როგორც წამყვანი მუშაობდა შემდეგ მნიშვნელოვან ინიციატივებზე:

1. აჭარის ავტონომირი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ახალი რეგლამენტის პროექტი თანმდევ კანონპროექტთან „აჭრის ავტონომიური რესპუბლიკიის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და დადგენილების პროექტთან „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ ერთად, რომლის ინიციატორებიც არიან უმაღლესი საბჭოს წევრები დავით გაბაიძე, ნინო ჩხეტია, მერაბ კარანაძე, ირაკლი ჭეიშვილი, დავით ბაციკაძე.

უმაღლესი საბჭოს 2005 წელს მიღებულმა რეგლამენტმა პრაქტიკაში ბევრი ხარვეზი გამოავლინა, როგორც საკანონმდებლო, ისე საზედამხედველო პროცესის კუთხით. უმაღლესი საბჭოს საზედამხედველო და სხვა ფუნქციები არაერთგვაროვნად და არასისტემურად იყო მოწესრიგებული, რაც ხშირ შემთხვევაში მათ სრულ უფუნქციობას იწვევდა.

ახალი რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენდა, საქართველოს პარლამენტის მიერ ერთის მხრივ 2017 წლის ოქტომბერში მიღებული „აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი, ხოლო მეორეს მხრივ საქართველოს პარლამენტის მიერ 2018 წლის მაისში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დამტკიცება, რომელმაც დღის წესრიგში დააყენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო სივრცის ახალ კონსტიტუციურ ნორმებთან და დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანა. მათ შორის ერთ-ერთი პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც რაც შეიძლება სწრაფად საჭიროებდა ზემოხსენებულ საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისობას ეს იყო - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ უმაღლესი საბჭოს მოქმედი რეგლამენტის, რომელიც 13 წელზე მეტის ხნის წინ იყო მიღებული და მასში ათეულობით ცვლილება განხორციელებული, კონსოლიდირებული ოფიციალური ვერსია არ არსებობდა.

უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი სტატუსის, უფლებამოსილებისა და მუშაობის პროცედურების გათვალისწინებით, რეგლამენტის პროექტზე მუშაობის დროს მოდელურ საფუძვლად აღებული იქნა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი.

ახალი რეგლამენტის პროექტის მიღების მიზანი იყო:

1. უმაღლესი საბჭოს უფრო მეტად ეფექტურ და ქმედით ინსტიტუციად ჩამოყალიბება;

2. საკანონმდებლო საქმიანობის გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს ხარისხიანი და ეფექტური კანონმდებლობის შექმნის შესაძლებლობას;

3. უმაღლესი საბჭოს საზედამხედველო ფუნქციების გაუმჯობესება;

4. უმაღლესი საბჭოს სტრუქტურის დახვეწა, რაც ხელს შეუწყობს უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გაჯანსაღებას;

5. საქმიანობის გამჭვირვალობისა და მოქალაქეებთან ურთიერთობის საკითხების სრულყოფა;

6. უმაღლეს საბჭოსთან დაკავშირებული რეგულაციების სისტემური ერთიანობის უზრუნველყოფა, რეგლამენტიდან გამომდინარე უმაღლეს საბჭოსთან დაკავშირებული რეგულაციების საქართველოს კონსტიტუციური კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე საკანონმდებლო ტექნიკის კუთხით არსებული ხარვეზების აღმოფხვრა.

ახალი რეგლამენტით განმტკიცებულია საკანონმდებლო, საზედამხედველო და წარმომადგენლობითი ფუნქციები. უმაღლესი საბჭოს საქმიანობა ეფუძნება ღიაობისა და გამჭვირვალობის, საზოგადოების ჩართულობის, ანგარიშვალდებულების, შრომის განაწილების, პროპორციულობისა და სამართლიანობის საწყისებს.

აღსანიშნავია, რომ უმაღლესი საბჭოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის და სიძლიერის ერთ-ერთი გარანტი თავად უმაღლესი საბჭოს რეგლამენტია, რომელსაც ჰყავს სპეციალური ინიციატორები (უმაღლესი საბჭოს წევრი, კომიტეტი, ფრაქცია), რომლის შექმნის პროცესი იწყება და სრულდება უმაღლეს საბჭოში, კერძოდ, მიღების შემდეგ მას ხელს აწერს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე (ნაცვლად მთავრობის თავმჯდომარისა). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გაიზარდა უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მისაღებად საჭირო ქვორუმი და ნაცვლად არანაკლებ 7 დეპუტატისა, მის მიღებას სჭირდება არანაკლებ 11 დეპუტატის მხარდაჭერა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უმაღლესი საბჭოს პროცედურულ ნორმებს, თავად უმაღლესი საბჭოს შიგნით მაღალი ლეგიტიმაცია უნდა ჰქონდეს.

უმაღლესი საბჭოს მოქმედი რეგლამენტისგან განსხვავებით, რომელიც XXVIII თავისგან შედგებოდა, ახალი რეგლამენტის სტრუქტურა გამარტივებულია და მოიცავს მხოლოდ XIX

თავს. თავები ლოგიკური თანმიმდევრობითაა დაჯგუფებული - იწყება ზოგადი დებულებებით, რასაც თან მოსდევს უმაღლესი საბჭოს წევრისა და უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციულ/სტრუქტურული საკითხები, უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო, საზედამხედველო თუ სხვა განსაკუთრებულ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, უმაღლესი საბჭოს აპარატის მარეგულირებელი ნორმები, რეგლამენტის დარღვევისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საკითხები, გარდამავალი და დასკვნითი დებულებები.

ახალი რეგლამენტის თითოეული მუხლი დასათაურებულია, რაც ამარტივებს დოკუმენტის აღქმადობას და ნორმათა ინტერპრეტაციას.

საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, აღმოფხვრილია როგორც რეგლამენტის შიგნით, ისე სხვა საკანონმდებლო აქტებთან მიმართებით არსებული დუბლირებები და კოლიზიები. რეგლამენტი შექმნილია პრინციპით, რომ უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებებისა და საქმიანობის წესთან დაკავშირებული ძირეული საკითხები უნდა იყოს მოწესრიგებული უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით და არა სხვა საკანონმდებლო აქტებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ახალი რეგლამენტის ძირითადი სიახლეები

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის ახალი წესი

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს კომიტეტის თავმჯდომარეს ან კომიტეტის ნებისმიერ წევრს. ამასთან, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ წარდგენილი უნდა იქნეს კომიტეტის წევრი, რომელიც არ არის არჩეული შესაბამისი მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილი პარტიული სიით ან ამავე პოლიტიკური პარტიის წარდგენით მაჟორიტარ უმაღლესი საბჭოს წევრად.

კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირების სავალდებულო დასწრება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრი, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი კომიტეტის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობის ან ფრაქციის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს კომიტეტის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. ასეთ პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს კომიტეტმა.

დროებითი კომისია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ახალი რეგლამენტით შემოდის დროებითი კომისიის ინსტიტუტი, რაც უმაღლესი საბჭოს საკონტროლო და საზედამხედველო ფუნციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. დროებითი კომისია შეიძლება შეიქმნას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, კომიტეტის, ფრაქციის, უმაღლესი საბჭოს წევრთა 3 კაციანი ჯგუფის მოთხოვნით.

უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვა

უმაღლესი საბჭოს წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, მთავრობის წევრს, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს. გარდა ამისა ახალი კონსტიტუციური ცვლილებებით და უმაღლესი საბჭოს ახალი რეგლამენტით უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს კითხვით მიმართოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს. უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვაზე დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა.

ინტერპელაცია

უმაღლესი საბჭოს ფრაქციას, უმაღლესი საბჭოს წევრთა არანაკლებ სამკაციან ჯგუფს უფლება აქვს, ინტერპელაციის წესით შეკითხვით მიმართოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს. ინტერპელაციის წესით დასმული შეკითხვის ადრესატი ვალდებულია პირადად უპასუხოს დასმულ შეკითხვას უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე, აგრეთვე შეკითხვაზე პასუხი წერილობითი ფორმით წარუდგინოს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომას. პასუხს ხელს აწერს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი ან მთავრობის შესაბამისი წევრი.

მინისტრის საათი

მინისტრის საათი გულისხმობს, წელიწადში არანაკლებ ერთხელ, მთავრობის ცალკეული წევრის, გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა, უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე შესაბამისი სამინისტროს საქმიანობის შესახებ მოხსენებით გამოსვლას. მთავრობის ცალკეული წევრის მოხსენების უმაღლეს საბჭოში წარდგენის განრიგს, მთავრობის წევრებთან შეთანხმებით და კომიტეტებისა და ფრაქციების ინიციატივების გათვალისწინებით, ადგენს უმაღლესი საბჭოს ბიურო.

თანამდებობის პირების პლენარულ სხდომაზე გამოცხადება

უმაღლესი საბჭო, კომიტეტის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე, პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთი მესამედის გადაწყვეტილებით პლენარულ სხდომაზე იწვევს მთავრობის წევრს, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირს, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელს. ისინი ვალდებული არიან გამოცხადდნენ პლენარულ სხდომაზე, ამ მუხლით დადგენილი წესით პასუხი გასცენ სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინონ გაწეული საქმიანობის ანგარიში. უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეგზავნება ადრესატს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ანგარიში მთავრობის საქმიანობის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ვალდებულია წელიწადში ერთხელ, საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების ბოლო თვეში უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს წერილობითი ანგარიში მთავრობის საქმიანობის შესახებ. მთავრობის თავმჯდომარის ანგარიშის წარდგენის ზუსტ დროს განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს ბიურო მთავრობის თავმჯდომარესთან შეთანხმებით. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ მთავრობის საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის წარმოდგენის დასრულების შემდეგ, მისი განხილვა გრძელდება კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვის პროცედურის შესაბამისად. განხილვის შემდეგ შეიძლება მიღებულ იქნეს რეზოლუცია, რეკომენდაცია ან სხვა დადგენილება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დამტკიცება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატი კომიტეტებში, ფრაქციებში და პლენარულ სხდომაზე წარადგენს სამოქმედო გეგმას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება

უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია სრული შემადგენლობის უმრავლესობით - 11 ხმით (ნაცვლად მანამდე მოქმედი 2/3-სა 14 ხმისა) უნდობლობა გამოუცხადოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ვეტოს დაძლევა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ვეტო დაძლეული იქნება თუკი კანონის პირვანდელ რედაქციას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა - არანაკლებ 11 დეპუტატი (ნაცვლად მანამდე მოქმედი 3/5-სა 13 ხმისა).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა

უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი ანგარიში, თუკი ანგარიშის წარმომდგენი ორგანოს დაკომპლექტებაში გათვალისწინებულია უმაღლესი საბჭოს მონაწილეობა, აუცილებელია განხილულ იქნეს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე. სხვა შემთხვევაში ანგარიშის პლენარულ სხდომაზე განხილვის საკითხი წყდება კომიტეტის ან უმაღლესი საბჭოს ბიუროს (ბიუროს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობის) მოთხოვნის საფუძველზე.

ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი

კომიტეტი აკონტროლებს მის გამგებლობას მიკუთვნებულ სფეროში, უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობას. ნორმატიული აქტის აღსრულების მდგომარეობის შესახებ მოსმენის შემდეგ უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებას, რომელშიც აისახება უმაღლესი საბჭოს შეფასება ნორმატიული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით, ნორმატიულ აქტში სათანადო ცვლილების შეტანის დავალება შესაბამისი კომიტეტისათვის ან/და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულების თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის დასმის საკითხი.

კანონქვემდებარე აქტების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება

კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამოწმებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და მინისტრის ნორმატიული აქტების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობასთან შესაბამისობას, მათი შესრულების მდგომარეობას, შეისწავლის და აანალიზებს ამ ნორმატიული აქტების მოქმედების პერიოდში გამოვლენილ ხარვეზებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც უგზავნის შესაბამის უწყებას.

უმაღლესი საბჭოს წევრის უმაღლესი საბჭოს სხდომებში მონაწილეობის გაზრდა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციური ცვლილებებით და უმაღლესი საბჭოს ახალი რეგლამენტით თუ უმაღლესი საბჭოს წევრი მორიგი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრება მორიგი სხდომების ნახევარზე მეტს მას შეუწყდება უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობა და უმაღლესი საბჭოს სხდომების საჯაროობა

კომიტეტის სხდომაზე, ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებით სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის უფლება ენიჭება შესაბამის დაინტერესებულ პირებს.

უმაღლესი საბჭოს საჯარო სხდომა გადაიცემა პირდაპირი ვიდეოტრანსლაციით.

უმაღლესი საბჭოს ერთობლივი სხდომები

ახალი რეგლამენტით შეიძლება გაიმართოს არაუმეტეს 2 კომიტეტის ერთობლივი სხდომა.

2. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი კანონი. კანონპროექტის ინიციატორი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. ახალი კანონის მიღების მიზეზს წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის 13 ოქტომბერს მიღებული იქნა საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“, ასევე, ,,აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში 2018 წლის 4 მაისს განხორციელებული რიგი ცვლილებები.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი კანონის ძირითადი სიახლეები:

მთავრობის, გარდა საქართველოს პრეზიდენტისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულებისა, საქართველოს მთავრობის წინაშე ანგარიშვალდებულებაც;

საქვეუწყებო დაწესებულებების სამინისტროების მმართველობის სფეროში გადაყვანა;

მთავრობის დამტკიცების წესის ცვლილება, რომლის შესაბამისად, ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობიდან ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტიდან 2 კვირის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი უმაღლეს საბჭოში წარდგენილ პოლიტიკურ სუბიექტებთან კონსულტაციის შემდეგ უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას და მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატის მიერ დასახელებული მინისტრების კანდიდატურებს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დამტკიცებას კენჭი ეყრება ერთიანად. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა;

თუ უმაღლესი საბჭო ზედიზედ ორჯერ არ დაამტკიცებს მთავრობას, პრეზიდენტი დამოუკიდებლად ვერ დაითხოვს უმაღლეს საბჭოს და საჭიროებს პარლამენტის თანხმობას;

მთავრობის უნდობლობის საკითხის სრულიად ახალი რედაქციით წარმოდგენა. კერძოდ, მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების მოქმედი კონსტიტუციით დადგენილი ორი მესამედის კვორუმის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობამდე დაყვანა. უნდობლობის საკითხის აღძვრის შემდეგ მთავრობისათვის უნდობლობის არგამოცხადებისას, უმაღლესი საბჭოს იმავე წევრთა მიერ მომდევნო 6 თვის განმავლობაში უნდობლობის საკითხის აღძვრის დაუშვებლობა;

ამოღებული იქნა ნორმა, რომლის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ვალდებული იყო წარმოედგინა არგუმენტირებული დასაბუთება საქართველოს პრეზიდენტის მიერ უმაღლეს საბჭოში წარდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურის დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ;

მთავრობას დაემატა შემდეგი უფლებამოსილებები: აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში თანამდებობათა სარგოების დამტკიცება, ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოვლა-პატრონობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცით - ტერიტორიული დაგეგმვის, მშენებლობისა და ურბანული განვითარების ხელშეწყობა; ახორციელებს ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი და სპორტული დაწესებულებების შექმნას, მართვასა და მხარდაჭერას;

ამოღებულ იქნა ნორმები, რომელიც უკავშირდებოდა: მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით კანონპროექტების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარდგენას, ბიბლიოთეკების მოვლა-პატრონობასა და სურსათისა და სხვა საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად დაემატა უმაღლესი საბჭოს დათხოვნის შემთხვევა, ასევე, ამოღებულ იქნა ნორმა, რომელიც უკავშირდებოდა მთავრობის გადადგომას, როგორც უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველს;

საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელების თანამდებობაზე დანიშვნის წესი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ანგარიშვალდებულება წელიწადში ერთხელ უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს მთავრობის საქმიანობის შესახებ ანგარიში;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრების კანდიდატების საქართველოს შესაბამისი სამინისტროს მინისტრთან შეთანხმების პროცედურის გაუქმება;

მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხების ახლებურად ჩამოყალიბება;

მთავრობის თავმჯდომარის გადადგომის შემთხვევაში, უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი, კერძოდ, მთავრობის თავმჯდომარე თანამდებობიდან გადამდგარად ითვლება ამის თაობაზე საჯაროდ განცხადების ან საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის წერილობითი განცხადებით მიმართვის მომენტიდან;

მთავრობის თავმჯდომარის მიერ შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების შემთხვევაში, მთავრობის თავმჯდომარეს უფლებამოსილება შეუწყდება თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების მიღებისთანავე;

საქვეუწყებო დაწესებულები მთლიანად დაექვემდებარა სამინისტროების გამგებლობას და ისინი აღარ იქნებიან მთავრობის შემადგენლობაში;

კანონს დაემატა თავი „ურთიერთობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან“

აღნიშნული თავი მთლიანად წარმოადგენს სიახლეს და მოიცავს:

უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვის წესს;

ინტერპელაციის წესით დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებულ საკითხებს;

მთავრობის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის წესს;

მინისტრის საათის გამართვის წესს;

მთავრობის წევრის მოსმენის საკითხს;

უმაღლესი საბჭოსათვის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების შეთანხმების წესს;

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის წარდგენას;

ბიუჯეტის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშის წარდგენას.

კომიტეტის ახალი დებულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ახალი რეგლამენტიდან გამომდინარე კომიტეტის მიერ შემუშავებული და უმაღლესი საბჭოს ბიუროსათვის დასამტკიცებლად წარდგენილი იქნა საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის ახალი დებულება. კომიტეტის დებულება დამტკიცებულია უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2019 წლის 5 ივნისის №37 გადაწყვეტილებით.

საკადრო საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში, კომიტეტმა წარმოდგენილი მასალების შესწავლის საფუძველზე მოამზადა შესაბამისი დასკვნები და უმაღლესი საბჭოს დადგენილებების შემდეგი პროექტები:

– „გიგა ჩხარტიშვილის საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრად - მრჩევლად არჩევის შესახებ“;

– „ზაზა ოქუაშვილისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“;

– „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ზაზა ოქუაშვილის ადგილმონაცვლის მერაბ ბლადაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“.

კომიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის დანიშვნაზე გენერალური აუდიტორისათვის თანხმობის მიცემისათვის დადგენილ იქნა ფარული კენჭისყრის ბიულეტენის ფორმა.

კომიტეტების პერსონალური შემადგენლობის არჩევა

საანგრიშო პერიოდში უმაღლესი საბჭოს კომიტეტებში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მომზადებული და ინიცირებული იქნა 1 დადგენილების პროექტი.

საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ განხილულ იქნა:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019-2022 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვა“.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვა“.

განხილულ საკითხებთან დაკავშირებით კომიტეტის მიერ მომზადებული იქნა შესაბამისი დასკვნები, რომლებიც მიწოდებული იქნა შესაბამის სუბიექტებზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი აგრძელებდა უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ცალკეული ნორმატიული აქტების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების კონტროლს, რისთვისაც აქტიურად თანამშრომლობდა შესაბამის სუბიექტებთან.

საანგარიშო პერიოდში უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების გარდამავალი დებულებებიდან გამომდინარე შესასრულებელი იყო შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის 21 მარტის კონსტიტუციური კანონის:

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, იმავე კანონის ამოქმედებისთანავე უმაღლესი საბჭოს კომიტეტის უფლებამოსილება უნდა შეეძინა კანონის ამოქმედებამდე მოქმედ უმაღლესი საბჭოს კომისიას. ამ მიზნით, უმაღლეს საბჭოში ინიცირებული იქნა და უმაღლესი საბჭოს მიერ 2018 წლის 17 მაისს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შეტანილი იქნა ცვლილება, რომლითაც შესრულდა ზემოაღნიშნული კონსტიტუციური ვალდებულება;

ბ) მე-3 მუხლის შესაბამისად, კონსტიტუციური კანონის ძალაში შესვლის შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას 2019 წლის 1 იანვრამდე უნდა უზრუნველეყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების სტატუსის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა. ამ მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ ინიცირებული, ხოლო უმაღლესი საბჭოს მიერ მიღბული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, რომლის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციიდან გამომდინარე გაუქმებული იქნა მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებები.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ 43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას და სამინისტროებს კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, უნდა უზრუნველეყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ცვლილებებთან დაკავშირებული შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და შესაბამისი მინისტრების მიერ მიღებულია (გამოცემულია) შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც განთავსებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ახალი რეგლამენტის 157-ე მუხლის:

ა) მე-4 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს, რეგლამენტის ამოქმედებიდან 1 კვირის ვადაში უნდა დაემტკიცებინა უმაღლესი საბჭოს კომიტეტებში წევრთა რაოდენობა და კომიტეტებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები. უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ აღნიშნული ვალდებულება შესრულებულია დადგენილ ვადაში. (იხ. უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2019 წლის 18 აპრილის №24 გადაწყვეტილება)

ბ) მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს, რეგლამენტის ამოქმედებიდან 10 დღის ვადაში ცნობად უნდა მიეღო უმაღლესი საბჭოს კომიტეტების მოქმედი შემადგენლობა. უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ აღნიშნული ვალდებულება შესრულებულია დადგენილ ვადაში. (იხ. უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2019 წლის 18 აპრილის №25 გადაწყვეტილება)

წარმოდგენილ ანგარიშში ასახულია ყველა ის ძირითადი სამუშაო, რაც საანგარიშო პერიოდში უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა შესაბამისად შეასრულა საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა კანონშემოქმედებით და კომისიის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა საქმიანობის მიმართულებით.

ნინო ჩხეტია

კომიტეტის თავმჯდომარე